

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის  
ოქმი N 1

ქ. თელავი

2021 წლის 26 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი მაია დათუნაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი რუსუდან ძამუკაშვილი, მოქალაქეები მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მაია დათუნაშვილს შესაძლებელია თუ არა კონკურსის დაკმაყოფილების შემთხვევაში ყარალაშვილების სახელობის ფესტივალის განხორციელება.

მაია დათუნაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელება შესაძლებელია.

გიგა მამუკელაშვილმა დასვა შეკითხვა თუ ვინ იღებს პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას? რაზეც მაია დათუნაშვილმა უპასუხა, რომ გადაწყვეტილებას მერთან შეთანხმებით იღებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ირაკლი სულხანიშვილმა დასვა შეკითხვა რა ღონისძიებას მიმართავს მერია თუ ამოიწურა წლის შუა პერიოდში თანხა ამ მიმართულებით? რაზეც მაია დათუნაშვილმა უპასუხა რომ შესაბამისად მოხდება თანხების დამატება.

ოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ზაფხულში კარგი იქნება თუ მოხდება გარე კინო ჩვენების ორგანიზება.

რუსუდან მამუკაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია როგორც შიდა სივრცეში აგრეთვე გარე სივრცეში კინო ჩვენების მოწყობა.

არქეოლოგიურ ბანაკის გონიო აფსაროსის პროექტთან დაკავშირებით ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ყოველ ათ ბავშვს გაყვება ერთი პედაგოგი რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: არჩილ მჭედლიშვილმა განმარტება გააკეთა პროექტ რა, სად, როდის რომელიც ატარებს საგანმანათლებლო შემეცნებით ხასიათს. როგორც მან აღნიშნა თუ ვერ მოხერხდა პანდემიიდან გამომდინარე

პროექტის განხორციელება აპრილის შემდგომ პერიოდში, ვინაიდან პროექტის ორგანიზება ონლაინ შეუძლებელია ამიტომ ამ თანხით მოხდეს პროექტისათვის ინვენტარის შეძენა კერძოდ: (მაგიდა სკამები) რაზეც დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე:



ლევან კოჭლოშვილი.